

შპს „ბ&ნ მედი„

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია -----	6
კონსოლიდაციის საფუძვლები -----	6
კონსოლიდაციასთან დაკავშირებული ელიმინირებული ტრანზაქციები -----	6
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა -----	6
ფინანსური ინსტრუმენტები -----	6
ძირითადი საშუალებები -----	8
არამატერიალური აქტივები -----	8
მარაგები -----	9
შემოსავლები -----	9
ხარჯები -----	9
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები -----	9
ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები -----	10
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები -----	10
პირობითი ვალდებულება -----	10

შპს „ბჰნ მედი“,
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

1	აქტივები	
1.1	აქტივები ფული და ფულის ეკვივალენტები	117828
1.2	სავაჭრო მოთხოვნები	955308
1.3	მარაგები	548049
1.4	სხვა	548049
1.5	სხვა მიმდინარე აქტივები	847546
1.6	პირითადი საშუალებები	6096914
1.7	სხვა გრძელვადიანი აქტივები	271704
	სულ აქტივები	8837349
2	ვალდებულებები	
2.1	სავაჭრო ვალდებულებები	134721
2.2	ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	161760
2.3	საგადასახადო ვალდებულებები	48302
2.4	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	667905
2.5	სხვა ვალდებულებები	66096
	სულ ვალდებულებები	1078784
3		
3.1	საკუთარი კაპიტალისააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3668674
3.2	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	524812
3.3	სხვა რეზერვები	3565079
3.4	სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	7758565
3.5	არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0
	სულ საკუთარი კაპიტალი	7758565
	სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	8837349

დირექტორი:

ზ. გრიგალაშვილი

შპს „ბ&ნ მედი„

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

1	აქტივები	
1.1	აქტივები ფული და ფულის ეკვივალენტები	117828
1.2	სავაჭრო მოთხოვნები	955308
1.3	მარაგები	548049
1.4	სხვა	548049
1.5	სხვა მიმდინარე აქტივები	847546
1.6	ძირითადი საშუალებები	6096914
1.7	სხვა გრძელვადიანი აქტივები	271704
	სულ აქტივები	8837349
2	ვალდებულებები	
2.1	სავაჭრო ვალდებულებები	134721
2.2	ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	161760
2.3	საგადასახადო ვალდებულებები	48302
2.4	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	667905
2.5	სხვა ვალდებულებები	66096
	სულ ვალდებულებები	1078784
3		
3.1	საკუთარი კაპიტალისააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3668674
3.2	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	524812
3.3	სხვა რეზერვები	3565079
3.4	სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	7758565
3.5	არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0
	სულ საკუთარი კაპიტალი	7758565
	სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	8837349

დირექტორი:



ზ. გრიგალაშვილი

კონსოლიდირებული მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

1	2018 ნეტო ამონაგები	5 690 280
2	საქონლის გაყიდვიდან	
3	მომსახურების გაწევიდან	5 634 862
4	სხვა	55 418
5	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-263 727
6	მარაგების შესყიდვა	-811 776
7	საბოლოო მარაგები	548 049
8	საერთო მოგება	5 426 553
9	სხვა შემოსავალი	1 224
10	დასაქმებულთა ანაზღაურება	-2 368 983
11	ცვეთა და ამორტიზაცია	-319 460
12	საპროცენტო შემოსავალი:	34 768
13	საპროცენტო ხარჯი :	-11 392
14	იჯარის ხარჯი	-600
15	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1 168 603
16	სულ საოპერაციო ხარჯები	-3 833 046
17	საოპერაციო მოგება	1 593 507
18	გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:ფინანსური აქტივები	
19	მარაგები	
20	სხვა არაფინანსური აქტივები	
21	წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	
22	მიღებული დივიდენდები	
23	სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-2 876
24	მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1 590 631
25	მოგების გადასახადი	-268 515
26	მოგება/(ზარალი)	1 322 116
27	სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	
28	სხვა	
29	სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	
30	მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1 322 116
31	მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	1 322 116
32	არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	
33	მოგება/(ზარალი)	1 322 116
34	მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განკუთვნილი:მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	1 322 116
35	არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	
36	მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1 322 116

დირექტორი:

ზ. გრიგალაშვილი

კონსოლიდირებული მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

1	2018 ნეტო ამონაგები	5 690 280
2	საქონლის გაყიდვიდან	
3	მომსახურების გაწევიდან	5 634 862
4	სხვა	55 418
5	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-263 727
6	მარაგების შესყიდვა	-811 776
7	საბოლოო მარაგები	548 049
8	საერთო მოგება	5 426 553
9	სხვა შემოსავალი	1 224
10	დასაქმებულთა ანაზღაურება	-2 368 983
11	ცვეთა და ამორტიზაცია	-319 460
12	საპროცენტო შემოსავალი:	34 768
13	საპროცენტო ხარჯი :	-11 392
14	იჯარის ხარჯი	-600
15	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1 168 603
16	სულ საოპერაციო ხარჯები	-3 833 046
17	საოპერაციო მოგება	1 593 507
18	გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:ფინანსური აქტივები	
19	მარაგები	
20	სხვა არაფინანსური აქტივები	
21	წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	
22	მიღებული დივიდენდები	
23	სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-2 876
24	მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1 590 631
25	მოგების გადასახადი	-268 515
26	მოგება/(ზარალი)	1 322 116
27	სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	
28	სხვა	
29	სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	
30	მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1 322 116
31	მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	1 322 116
32	არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	
33	მოგება/(ზარალი)	1 322 116
34	მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განკუთვნილი:მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	1 322 116
35	არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	
36	მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1 322 116

დირექტორი:



ზ. გრიგალაშვილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	2 205 990
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1 499 825
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	7 052 400
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7 758 565

დირექტორი:

ზ. გრიგალაშვილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	2 205 990
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1 499 825
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	7 052 400
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7 758 565

დირექტორი:



ზ. გრიგალაშვილი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბ&ნ მედი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2018 წლის 30 იანვარს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით 404552284 .

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჰოლდინგური კომპანიების საქმიანობები.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, გორგასლის ქ., №8.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია გოცა ბაკურაძე. კომპანიის დირექტორია ზაზა გრიგალაშვილი.

შვილობილი საწარმო შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“, რომელიც დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით 244969370. კომპანიის ძირითად საქმიანობის სამედიცინო საქმიანობა (საავადმყოფოების საქმიანობები).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ხონი, სოფ. ქუტირი.

კომპანიის 95%-იანი წილის მფლობელია შპს „ბ&ნ მედი“ (ს/ნ 404552284) და 5%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო.

კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი კომპანია არის ის ორგანიზაციები, რომელიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება პიდაპირ ან ირიბად მართოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებული ელიმინირებული ტრანზაქციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნა შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან ელიმინირებულია (გაქვითულია).

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული.

დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული.

ფინანსური აქტივები

ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. ჯგუფი არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ჯგუფი ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები

მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) ჯგუფი გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეიტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. ჯგუფის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის/მომსახურების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის/მომსახურების ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, ჯგუფი გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

ჯგუფი თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, პრემიები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის

ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2,5922	3,1044

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - ჯგუფი რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰქონია სასამართლო დავები.

3. პირობითი ვალდებულება

ჯგუფის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს.